

დააკავშირეთ კითხვა და პასუხი ერთმანეთს

სავარაუდო პასუხებიდან აარჩიე კითხვის შესაბამისი სწორი პასუხი, მაუსის მარცხენა ღილაკით მონიშნე, წაილე და ჩასვი კითხვის ქვეშ არსებულ ჩარიელ უჯრედში

1. მდინარე არის

2. მდინარის სათავე არის

3. რა შეიძლება იყო მდინარის სათავე

4. რა შეიძლება იყოს მდინარის შესართავი

5. მდინარის ხეობა არის :

6. მდინარის კალაპოტი არის :

7. შენაკადი არის :

8. რა არის შესართავი ?

9. რა არის მდინარის სისტემა ?



10. წყალშემკრები აუზი არის :

11. რა არის წყალგამყოფი ?

12. რა განსხვავებაა მთისა და ბარის მდინარეების კალაპოტებს შორის ?

13. მდინარის ვარდნა არის :

14. მდინარის დახრილობა არის :

15. მდინარის ხარჯი არის:

16. მდინარის ჩამონადენი არის :



ქეთი
ქერაშვილი

17. ჩანჩქერი არის :

18. მდინარის დელტა არის :

19. როგორ წარმოიქმნება მდინარის დელტა

20. როგორ საზრდოობს მდინარე

21. მდინარის ქცევის ხასიათს ანუ რეჟიმს განსაზღვრავს:



22. წყალდიდობა არის :

23. მეანდრა არის :

24. ესტუარი არის :

25. წყალმოვარდნა არის :

26. ღვარცოფი, იგივე სელური ნაკადი არის :

სავარაუდო პასუხები

ბუნებრივი წყლის ნაკადი, რომელიც თავისივე გამომუშავებულ კალაპოტში, რელიეფის დახრილობის მიმართულებით მიედინება. შეიძლება იყოს მუდმივი ან პერიოდული ნაკადი

მდინარის სათავესა და შესართავს შორის არსებული ჩადაბლება

მდინარის სათავესა და შესართავის წყლის დონეთა აბსოლუტურ სიმაღლეებს შორის სხვაობაა

ყველა ის მდინარე, რომელიც ერთვის სხვა მდინარეს. ანუ არ გააჩნია საკუთარი შესართავი ოკეანესთან, ზღვასთან ან ტბასთან.

მდინარის ვარდნის შეფარდება მის სიგრძესთან

მდინარის ერთ ტოტიანი, ძაბრისებურად გაფართოვებული შესართავი

მდინარის წყლის მოცულობაა, რომელიც 1 წმ-ში მდინარის ცოცხალკვეთში გაედინება

ადგილი, სადაც მდინარე ერთვის ოკეანეს, ზღვას, ტბას ან მეორე მდინარეს

მდინარე, ყველა თავის შენაკადიანად

ამაღლებული ადგილი, რომელიც გამოყოფს მდინარეთა აუზებს ერთმანეთისგან. შესაძლოა იყოს ქედი, ან რაიმე ამაღლებული ადგილი

წყლის ის რაოდენობაა, რომელიც გარკვეულ პერიოდში - დღე-ღამეში, თვეში, წელიწადში მდინარის მოცემულ კვეთში გაედინება.

ტერიტორია, საიდანაც მდინარე თავის შენაკადებიანად წყალს იკრებს (საზრდოობს)

არის ტალახიანი ან ქვატალახიანი დროებითი ნაკადი, რომელიც უეცრად წარმოიქმნება მთის მდინარეთა ხეობაში, რაც გამოწვეულია უჩვეულო ინტენსიური წვიმებით ან თოვლის დნობით.

ოკეანე, ზღვა, ტბა, ყურე ან მეორე მდინარე.

მდინარის კალაპოტში წყლის ციცაბო საფეხურიდან წარმოქმნილი წყლის ვარდნილი

მდინარის, ნატანი, ნაშალის მასალის დაგროვების შედეგად წარმოქმნილ სამკუთხედის მსგავს რელიეფის ფორმას დელტა ეწოდება

ადგილი სადაც მდინარე წარმოიქმნება

ზოგიერთი მდინარე შესართავთან ლექავს ნაშალ მასალას და შესართავთან ჩნდება სამკუთხედის მსგავსი ხმელეთი - დაბლობი, რომელზეც მდინარე იტოტება.

ვაკის მდინარის კლაკნილი, რომელიც უმეტესად ვითარდება ვაკის მდინარეების ქვემო დინებებში, იქ სადაც განვითარებულია ნელი დინება.

მყინვარი, წყარო, ტბა, მიწისქვეშა წყარო და ჭაობი

წვიმის წყლით, მიწისქვეშა წყლებით, თოვლის ნადნობი წყლით, მყინვარის ნადნობი წყლით

წყლის დონის ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი აწევა, რომელიც იწვევს ხმელეთის დატბორვას. წყალდიდობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღე, კვირა ან თვეც კი. როგორც წესი წლის თბილ პერიოდში თოვლი და მყინვარები დნება, რაც განაპირობებს მდინარეთა წყლის დონის მატებას.

მდინარის საზრდოობა

წყლის დონის სწრაფი და მოკლევადიანი აწევა, რომელიც ხდება მოულოდნელად და სწრაფად მთავრდება. წყალმოვარდნა, როგორც წესი, რამდენიმე საათს ან დღეს გრძელდება. წყალმოვარდნა გამოწვეულია ძლიერი, უეცარი თავსხმა წვიმებით

ხეობის ყველაზე დაბალი, მუდმივად წყლით დაფარულ ნაწილი

მთის მდინარე სწრაფად მიედინებიან და მათი კალაპოტი ვიწრო და ღრმაა ხოლო ვაკის მდინარეები რელიეფის მცირე დაქანების გამო, ფართო და შედარებით ნაკლებად ღრმა კალაპოტში მდორედ (ნელა) მიედინებიან, შესაბამისად მათი კალაპოტი ნაკლებად ღრმა და დაკლავნილია



ქეთი
ქერაშვილი



ქეთი
ქერაშვილი